



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი

ცაგერის მუნიციპალიტეტის ქ. ცაგერის N1 საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: სალომე ხარაბაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: სოფიო მოწონელიძე

კვების დარგში ექსპერტი: ია იაკობიძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ლანა კამლაძე



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი
საიდენტიფიკაციო ნომერი	242574512
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	ცაგერის მუნიციპალიტეტის ქ.ცაგერის N1 საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	Preschool and out-of-school educational institution management center of Tsageri Municipality
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ცაგერის მუნიციპალიტეტი, ქ. ცაგერი რუსთაველის ქ. N 59



პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ცაგერის მუნიციპალიტეტი, ქ. ცაგერი კოსტავას ქ.N59	
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)		
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐	
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ		
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება N563944 22/05/2025	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 24-25 ივნისი	
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ		
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.		



N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ზავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
2	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	კურიკულუმი „თამაში“ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“	ქართული		72
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2025 წლის 24-25 ივნისს ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის ქ.ცაგერის N1 საბავშვო ბაღში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე დადგენილი პროცესის მიხედვით. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისათვის საჭირო მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, განხორციელდა

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



ინფრასტრუქტურის დათვალიერება. ვიზიტის დროს მოხდა შეხვედრა დაწესებულების სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და პირებთან. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

1. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა ² <i>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“</i>		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმარება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს მისია, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს : „აღსაზრდელების უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და თითოეული ბავშვისადმი თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი განათლების მიწოდება, მათი შემეცნებითი, სენსორული, ეთნიკური თუ სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით“.

წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი. ასევე გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

დაწესებულებას დოკუმენტის სახით არ აქვს წარმოდგენილი მისია.

დაწესებულებას სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში (17.07.2024წ. N38 ბრძანება) გაწერილი აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესის შემდეგი ეტაპები:

- ა) სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტად შემუშავება;
- ბ) პროექტის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის;
- გ) მიღებული უკუკავშირია განხილვა/გათვალისწინება;
- დ) მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირება;
- ე) შემუშავებული განაცხადის წარდგენა მართვის ცენტრის დირექტორისათვის;
- ვ) მართვის ცენტრის დირექტორის მიერ მისიის , ხედვისა და ღირებულებების მოწონების შემთხვევაში, განაცხადის გამოქვეყნება მართვის ცენტრის ვებ-გვერდზე.

ინტერვიუს დროს ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის დირექტორმა სიტყვიერად აღწერა მისიის შემუშავების პროცედურები, თუმცა ეს პროცესები არ არის დოკუმენტურად ასახული და წარმოდგენილი. მხოლოდ ფოტომასაა წარმოდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენილი ჰქონდეს დოკუმეტის სახით სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში (17.07.2024წ. N38 ბრძანება) გაწერილი მუხლი 8 – მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესის შესაბამისად.

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სიტყვა „აღსაზრდელი“ ჩაანაცვლოს სიტყვით „ბავშვი“.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხედვა - „ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების მართვის ცენტრის ხედვაა სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში, ოჯახისა და თემის ჩართულობით უზრუნველყოს, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ასევე ხარისხიანი სერვისების შეთავაზება“.

დაწესებულების ღირებულებები - ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი მუშაობს 5 ძირითად ღირებულებებზე: ბავშვთა უსაფრთხოება, გუნდურული მუშაობის პრინციპი, სიახლეებზე ორიენტირება, უწყვეტი განვითარება, მშობლისა და თემის ჩართულობა.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან.

დაწესებულებას დოკუმენტის სახით არ აქვს წარმოდგენილი მისი ხედვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებას მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილი ჰქონდეს დოკუმენტის სახით სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში (ბრძანება N38, 17.07.2024) გაწერილი მუხლი 8 _ მისიის , ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ასახულია მხოლოდ ფოტო მასალაში.
დაწესებულებას არ აქვს მისი შემუშავების დოკუმენტი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო მართვის ცენტრის განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომაზე (ოქმი N1 (05.09.2024) დაადგინეს ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო მართვის ცენტრის წარმომადგენლები, ბალების წარმომადგენლები, მშობელი და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი.



სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში დაწესებულებას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებად განსაზღვრული აქვს :

ა) ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ბ) ბაღ(ებ)ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. რაც დასტურდება:

ცაგერის N1 საბავშვო ბაღში ჩატარებული ბაღის თანამშრომელთა საერთო კრებით (ოქმი N1. 18.09.2024) _ სადაც ბაღის მენეჯერის მიერ

განხორციელდა ბაღის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა (ოქმს თან ერთვის ფოტომასალა).

ცაგერის N1 საბავშვო ბაღს 2024-2025 სასწავლო წლის საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა _ მშობელთა საერთო კრების

მოწვევა, სადაც მოხდება ბაღის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა.

საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებაში მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია საბავშვო ბაღში თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (N38 ბრძანება, 17.07.2024);
2. მისის, ხედვის და ღირებულებების ფოტომასალა;
3. ინტერვიუს შედეგები;
4. ცაგერის N1 საბავშვო ბაღის 2024-2025 სასწავლო წლის საკომუნიკაციო გეგმა;
5. ცაგერის N1 საბავშვო ბაღის თანამშრომელთა საერთო კრების ოქმი N1 (18.09.2024);
6. სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1 (05.09.2024);
7. ფოტომასალა.

შეფასება:

1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

- დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო მართვის ცენტრის მიერ დამტკიცებული. (ბრძანება N38, 17.07.2024), რომელიც წარმოადგენილია დაწესებულების თვითშეფასების ფორმის დანართად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას. დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს 6 თვეში ერთხელ, ხოლო შეფასებას წლიურად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების ფორმას და პერიოდულობას. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულებების მართვის ცენტრი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს დაინტერესებულ მხარეებს ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული გეგმა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის უფლებამოსილი პირის მიერ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო მართვის ცენტრის დირექტორის მიერ „სტრატეგიული გეგმის განახლებული რედაქციით დამტკიცების შესახებ“ 5.09.2024 წლის N 55 ბრძანებით დამტკიცებული.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ციკლური რაც დასტურდება იმით, რომ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2024 წელს (05.09.2024. N 55 ბრძანებით) და ის მოქმედებს 2028 წლამდე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, რაც სჩანს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში არსებული მდგომარეობის შეფასებით, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებით, სტრატეგიული მიზნების ფორმულირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ მიზნებს:

1. დაწესებულების ფიზიკური გარემოს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
2. საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;
3. სააღმზრდელო- საგანმანათლებლო პროცესში ოჯახის და თემის ჩართულობის გაუმჯობესება;



4. სხვადასხვა ტემპისა და განსხვავებული საჭიროების მქონე აღსაზრდელების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

ეს მიზნები თავსებადია მისიასთან – დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს 4 მიზანს, ცხრილის სახით სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია მიზნების შესაბამისი ამოცანები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს რომ ამოცანები იყოს კონრეტული,გამომდინარეობდეს მიზნიდან და არ იყოს აცდენილი მიზნის შინაარსს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის უფლებამოსილი პირის ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის დირექტორის მიერ 16.09.2024 წლის N59 ბრძანებით დამტკიცებული “სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ”.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ცაგერის N1 საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმა არის მოკლევადიანი ერთწლიანი, მორგებულია 2024-2025 სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანია 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მაღალი ხარისხის მომსახურეობის მიწოდება სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად. დაწესებულების სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რაც იმით გამოიხატება რომ მასში არის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევი ის აქტივობები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში შესრულებადია.



სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში (17.07.2024წ. N38 ბრძანება) მუხლი 11 – „სამოქმედო გეგმის შემუშავება“ გაწერილია რომ სტრატეგიული გეგმიდან და მართვის ცენტრის ყოველწლიურ თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, მაგალითად, დაწესებულების გეგმის მიზანია _ საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;

ამ მიზნის ამოცანა _ აღმზრდელ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება.

აქტივობები _ აღმზრდელ- პედაგოგთა გადამზადება, გაერთიანების მეთოდისტის კონსულტაცია აღმზრდელებთან კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების შესახებ.

მიზანი _ განსხვავებული საჭიროების მქონე აღსაზრდელების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა;

ამოცანა _ ადაპტირებული გარემოს შექმნა.

აქტივობები – ბაღში არსებული პანდუსის რეაბილიტაცია, შესაბამისი კადრების მოზიდვა და გადამზადება.

სამოქმედო გეგმაში გაწერილითი თითოეული ამოცანის შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები (თვისებრივად/რაოდენობრივად), აქტივობის შესრულების ვადები, და ეს ვადები რეალისტურია (ყველა აქტივობაზე), პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები (ყველა აქტივობაზე), შესაბამისი რესურსები (ყველა აქტივობაზე) და ამ რესურსების უზრუნველყოფა რეალისტურია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 17.07.2024 წლის N 38 ბრძანებით დამტკიცებულია **სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი**. მასში განსაზღვრულია – დაწესებულების **სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება** სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5წელს) და ბოლოს, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგს 6 თვეში ერთხელ, ხოლო შეფასებას წლიურად. **სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ჯერ არ დამდგარა.**

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში“ გაწერილი და დამტკიცებული (17.07.2024წ. N38 ბრძანება) გაწერილია მექანიზმი – მუხლი 13 – სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს. ეს პერიოდი ჯერ არ დამგარა.

სამოქმედო გეგმის დაწესებულება ახორციელებს მონიტორინგს 6 თვეში ერთხელ, ხოლო შეფასებას წლიურად. მეთოდოლოგიიდან გამომდინარე მონიტორინგი განხორციელდა 2025 წლის თებერვალში, მართვის ცენტრის სამუშაო ჯგუფმა განახორციელა მართვის ცენტრში შემავალ საბავშვო ბაღებში შუალედური მონიტორინგი და შუალედური ანგარიში წარუდგინა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარეს, შედგა სხდომა და განიხილეს მონიტორინგის ანგარიში (ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის „განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის“ სხდომის ოქმი N4, 20.02.2025).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გამოიყენოს მეთოდოლოგიაში გაწერილი სტრატეგიული და სამომედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობა და ხელმისაწვდომლობა. მასში წერია, რომ ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები და ა.შ.).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძანება N38, 17.07.2024.);
2. „სტრატეგიული გეგმის განახლებული რედაქციით დამტკიცების შესახებ“ 5.09.2024 წლის ბრძანება N 55;
3. ცაგერის N1 საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმა_ ბრძანება N59 ,16.09.2024;
4. „სამოქმედო გეგმის შემუშავება“(ბრძანება N38, 17.07.2024) ;
5. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი 17.07.2024 წლის ბრძანება N 38 ;
6. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმზრდელ დაწესებულებების მართვის ცენტრის „განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის“ სხდომის ოქმი N4, 20.02.2025
7. ინტერვიუს შედეგები.



შეფასება:

1.2. სტრატეგიული განვითარება

შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
---	---	---	---

2. კურიკულუმი ³

პროგრამის სახე

1. სკოლამდელი აღზრდის და განათლების პროგრამა.

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის (პირველი და მეორე ნაწილი).

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“(აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი).

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

ცაგერის N 1 საბავშვო ბაღი პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შეჩეული კურიკულუმით:

- 1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის.
- 2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

დაწესებულებამ წარმოადგინა ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის N85 ბრძანება (06.12.2024წ) კურიკულუმის დამტკიცების შესახებ .

„ კურიკულუმის შერჩევის/შექმნის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი N83 ბრძანება “(05.12.2024)

დაწესებულებამ შემუშავებული წესის მუხლი.2 ის მიხედვით კურიკულუმის შერჩევა(1 ლი, 2-ე ,3-ე, 4-ე ,5-ე)პუნქტის შესაბამისად წარმოადგინა შემდეგი: კურიკულუმის შემუშავების პროცესის ამსახველი მასალები; მართვის ცენტრის ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N3 (5.09.2024). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს რომ კურიკულუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული.

მართვის ცენტრის ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის N85 ბრძანება (06.12.2024). ადრეული განათლების კურიკულუმის “თამაში” 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ .

საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუებში ვლინდება პროცესის სრული მიდინარეობის აღწერა, კურიკულუმის დამტკიცების შერჩევის გაზიარების ,შეფასების და განვითარების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს რომ კურიკულუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს ცაგერის №1 საბავშვო ბაღი არის „ადრეული განათლების კურიკულუმი“ თამაში“2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“წინასწარ არის შერჩეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ცაგერის N 1 საბავშვო ბაღს აქვს შერჩეული კურიკულუმები რომლითაც ხელმძღვანელობს „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

შერჩეული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას .

1) „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის) ამ კურიკულუმის მიზანია : ჯგუფის ერთობა, კვლევა აღმოჩენა, თამაშზე დაფუძნებული სწავლება, ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტით დადგენილი შედეგების მიღწევა ,რაც ვლინდება განვითარების ხუთივე სფეროს დაფარვაში, ბავშვების ჰოლისტურ განვითარებაში.

2) სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში“ ამ კურიკულუმის სახელმწიფო სტანდარტის მიზნებია: ბავშვის მომავალი ცხოვრებისთვის , წარმატებულ მოქალაქედ ფორმირება, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობა.ბავშვის ფიზიკური სიჯანსაღე, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ჰოლისტური განვითარება, კითხვის და წერის სწავლებისთვის, მათემატიკური საჭირო უნარების განვითარება თამაშით სწავლების გზით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის)“, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, რომლითაც ხელმძღვანელობს ცაგერის N 1 საბავშვო ბაღი .

1. „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში: კურიკულუმი უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის უნიკალურ შესაძლებლობების და ბიოლოგიური რიტმის გათვალისწინებით ბავშვის ინტერესებზე მორგებულ სწავლის პროცესს. თამაში აღიარებულია როგორც ბავშვის მთავარი სასწავლო აქტივობა, რომელიც ქმნის სრულფასოვან საგანმანათლებლო გამოცდილებას, მოტივაციას, წარმოსახვას, სოციალიზაციას რაც ხელს უწყობს ბავშვების თავისუფალ არჩევანს, აქტიურ ჩართულობას , თვითგამოხატვას და დამოუკიდებლობას.

2 . შერჩეული კურიკულუმი სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში. კურიკულუმი მოიცავს მიზანმიმართულ სტრუქტურირებულ თავისუფალი თამაშით სწავლებას, რომლის მიზანია ბავშვის სწავლისა და განვითარების მხარდაჭერა, ისეთ გარემოში სადაც ის თამაშის მეშვეობით ეუფლება სასკოლო მზაობის აუცილებელ უნარებს, მედეგობას, ასერეტულობას, პასუხისმგებლობას, დამოუკიდებლობას, თავისუფლად სვამს კითხვებს, ეძებს ამ კითხვებზე პასუხებს, უმკლავდება გამოწვევებს და თავდაჯერებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, რომლითაც ხელმძღვანელობს ცაგერის N 1 საბავშვო ბაღი .
ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და „ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას ბაღის ცხოვრებაში.
კურიკულუმი ითვალისწინებს, ოჯახთან /თემთან რეგულარულ შეხვედრებს, მათი ცნობიერების ამაღლებას ადრეული განათლების მნიშვნელობის სწავლების შესახებ. თემის რესურსის გამოყენებას მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას, მათი გამოცდილების გაზიარებას კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დროს.
ყოველივე გაწერილია და დასტურდება ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების მართვის ცენტრის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი 16. 09. 2024წ. N 58 ბრძანება. ცაგერის N 1 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2024-2025წ .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმები „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, რომლითაც ხელმძღვანელობს ცაგერის N 1 საბავშვო ბაღი. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ითვალისწინებს მრავალფეროვან ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება კურიკულუმის მიზნებში, შინაარსში მეთოდებში /შეფასებში. ბაღში ბავშვების მიღება, თამაშით სწავლება, დიდი და მცირე ჯგუფური აქტივობები და სხვა რუტინული საქმიანობები, მრავალფეროვანი აქტივობები, დაგეგმილი და დაუგეგმავი როტაციები, ტრანზიციები, დისკუსია, ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება, ეზოს გარე აქტივობები. რაც ხელს უწყობს ბავშვის შემეცნებით, ფიზიკურ, სენსორულ, კომუნიკაციური, დამოუკიდებელი ადაპტური უნარ-ჩვევების განვითარებას.

შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება შემდეგში: კურიკულუმი მოიცავს თამაშით სწავლებას, კვლევა აღმოჩენას, ჯგუფის ერთობას, დისკუსიას, აზრის გამოთქმას, მოსმენას, წიგნებთან ურთიერთობას, წერითი უნარის განვითარებას, დაკვირვებას, ბუნებრივი მეორადი ხელოვნური განმავითარებელი მასალის გამოყენებას სწავლების პროცესის მიმდინარეობისას, გამოცდილების მიღებას დღის მანძილზე დაგეგმილი/დაუგეგმავი საქმიანობების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, რაც დასტურდება ცაგერის

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის N83 ბრძანება (05.12.2024) კურიკულუმის შერჩევის, შექმნის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.

პერსონალთან ინტერვიუს დროს აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, ასევე მუსიკის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეც.პედაგოგი, გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ შერჩეული კურიკულუმები გაზიარებულია მათთან დაწესებულების მეთოდისტის მიერ.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში, გაზიარებულია პერსონალთან, თემთან პირდაპირი შეხვედრების გზით

რაც დასტურდება: 1) ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (16. 09. 2024წ. N 58 ბრძანება).

2) ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმით N3 (14.11.2024).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება N83 დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის/შექმნის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (05.12.2024)



2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 N85 ბრძანება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი;
3. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N3 (5.09.2024) ;
4. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება N58 დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ (16.09.2024);
5. ცაგერის N 1 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2024-2025წ.

შეფასება:			
2.1 კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 წლის N84 ბრძანება, საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფა დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველდღიური, გრძელვადიანი წლიური, რომელიც არ შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი, რომელში გაწერილი პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირია: მართვის ცენტრის მიერ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები არ არის დამტკიცებული, აღნიშნული არ შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რაც ვლინდება წარმოდგენილ მოკლევადიან გეგმებში.

დაწესებულება აწარმოებს ყველა ასაკობრივ ჯგუფზე ერთი მოკლევადიანი გეგმის ფორმას, არ აქვს სასკოლო მზაობის ჯგუფისთვის შემუშავებული მოკლევადიანი გეგმის ფორმა. **ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 N84 ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფა“** ამავე წესის მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების საკვანძო საკითხები არ მოდის თანხვედრაში მარეგულირებელ წესთან მიმართებაში.

დაწესებულებამ მოთხოვნის მიუხედავად ვერ წარმოადგინა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმების დამტკიცების ბრძანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს:

- ა). მართვის ცენტრმა დაამტკიცოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმა შერჩეული კურიკულუმების მიხედვით.
- ბ). საგანმანათლებლო პერსონალმა გაწეროს შესაბამისი მოკლევადიანი გეგმები. გამიჯნოს ადრეული განათლების კურიკულუმში თამაშის მიხედვით მოკლევადიანი გეგმები 2-3 წლიანი, 3-4 წლიანი, 4-5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა თამაშის მიხედვით სასკოლო მზაობის ჯგუფისთვის მოკლევადიანი გეგმა.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს მოკლევადიან გეგმაში: ჩანიშვნები, მინიშნებები დაკორექტირებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები საგანმანათლებლო პროცესის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულების მართვის ცენტრის მიერ დამტკიცებული იქნება მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები შერჩეული კურიკულუმის მიხედვით, საგანმანათლებლო პერსონალს გაწერილი ექნება შესაბამისი მოკლევადიანი გეგმები.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს გეგმების შემუშავების პრაქტიკა. აგრეთვე მართვის ცენტრის მიერ გაწერილი მარეგულირებელი წესი ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 წლის N 84 ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.. დაწესებულება აწარმოებს 2-3 წლიან, 3-4 წლიან, 4-5 წლიან, სასკოლო მზაობის ჯგუფში ერთი ფორმის შემუშავებულ მოკლევადიან გეგმას. დაწესებულების მიერ არ ხდება კურიკულუმის შესაბამისი გეგმების (გრძელვადიანი, მოკლევადიანი) გეგმების შეთანხმებული შემუშავება. გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუს საფუძველზე და წარმოდგენილ გეგმებში, გეგმების შედგენის პროცესში იკვეთება ჯგუფის აღმზრდელისა და მისი თანაშემწის ჩართულობა, ინტერვიუს საფუძველზე საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, იკვეთება პროცესის მიმდინარეობის პრაქტიკა. აღნიშნავენ, რომ ყოველი კვირის პარასკევს საგანმანათლებლო პერსონალი, იკრიბება და განიხილავს მომდევნო კვირის გეგმას და შეაქვთ შესაბამისი აქტივობები გეგმებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 წლის N 84 ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის საფუძველზე მუხლი.3 - მუხლი 4 , შესაბამისად, გაწერილი წესისა და საკითხების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი შეიმუშავებს გეგმებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის საფუძველზე.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.



აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტის დროს გამოვლინდა რომ საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილია შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დღის განრიგი
2. აღმზრდელის პორტფოლიო.
3. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო
4. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებს, რაც ვლინდება იმაში, რომ **დღის განრიგი** არის ჯგუფის შესასვლელში წარმოდგენილი, არ არის ჯგუფში ბავშვების სიმაღლეზე განთავსებული. დღის განრიგი არ არის დასურათებული, წარმოდგენილია მწირი ვიზუალური მინიშნებებით, დღის გარნიგზე არ არის დროის ელემენტი (საათი) დატანილი. **აღმზრდელის პორტფოლიოში წარმოდგენილია:** დღის განრიგი, გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები, **სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოში** (ლოგოპედი, ფსიქოლოგი, სპეც, პედაგოგი, მუსიკის პედაგოგი) წარმოდგენილია სამუშაო გეგმა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები, მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრის ჩანაწერი,

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის ინტერესებს, რაც ვლინდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ჩანაწერებში და გეგმებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს:

- ა). მულტიდისციპლინური გუნდის წევრებმა გაწეროს შეხვედრის ოქმი სრულყოფილად სსსმ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების მოკლე და გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით;
- ბ). დღის განრიგი განთავსდეს ჯგუფური აქტივობის სივრცეში, აღმზრდელმა მეთოდისტთან შეთანხმებით დღის განრიგზე დაიტანოს დროის ელემენტი(საათი);
- გ). სასკოლო მზაობის ჯგუფის აღმზრდელმა შექმნას ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი დღის განრიგი სივრცეების დასახელებებს დაურთოს ნახატ- სიმბოლოები უნივერსალური დიზაინის პრინციპის გათვალისწინების მიზნით;
- დ). დღის განრიგი, ყველა ვიზუალური მინიშნება განთავსდეს ბავშვების სიმაღლეზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტის დროს გამოვლინდ, რომ საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილია შემდეგი დოკუმენტაცია:

1. აღმზრდელის პორტფოლიო;
2. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
3. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო ;

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ვლინდება:

აღმზრდელი პორტფოლიო : მოკლევადიან გეგმებში არ იკითხება ინდივიდუალიზაციის გრაფა, რომელიც ბავშვის საჭიროებებზე დაკვირვების და ინდივიდუალიზაციის დაგეგმვისთვის გამოიყენება. არსებული თანხვედრაში არ მოდის დაწესებულების ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის N 84 ბრძანება (06.12.2024 წ.) „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესთან , მუხლი :3 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა ამ წესის პუნქტი 6 „ ა,ბ,“პუნქტით განსაზღვრული ა) ჯგუფის საჭიროებები ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები .მუხლი.4 ინდივიდუალიზაციის ასპექტი. პუნქტი ა)მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანა /გაწერა არ იკითხება მარეგულირებელი წესის შესაბამისად.სხვა საგანმანათლებლო პერსონალი პორტფოლიოში ათავსებს და აწარმოებს ბავშვის ჩეკლისტებს, დაკვირვების, შეფასების ფორმებს.

ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიოში აღმზრდელი ათავსებს ბავშვის ნამუშევრებს, შეფასების ფორმებს .



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს:

ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 წ. N 84 ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი მუხლი :3პუნქტი ა) ბ).

მუხლი: 4 ინდივიდუალიზაციის ასპექტი ა) პუნქტის გათვალისწინება. კერძოდ მოკლევადიან გეგმებში დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა მარეგულირებელი წესის მიხედვით გაწეროს ინდივიდუალიზაციის გრაფა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი მარეგულირებელი წესის მიხედვით მოკლევადიან გეგმებში გაწერს ინდივიდუალიზაციის გრაფას.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, რაც ვლინდება იმაში რომ საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს თამაშზე დაფუძნებული სწავლებით, ჯგუფში არსებული ბუნებრივი და მეორადი რესურსის გამოყენებით, დასტურდება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმებით, წარმოდგენილი გეგმებით, რაც ასევე გამოიკვეთა ინტერვიუს საფუძველზე აღმზრდელთან.

დიდი ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, რაც ვლინდება მოკლევადიან გეგმაში გაწერილ რუტინულ აქტივობებში, როტაციებში და დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუს საფუძველზე.

მცირე ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, რაც იკითხება გაწერილ მოკლევადიან გეგმებში ტრანზიციის თამაშებით, ჯგუფში წარმოდგენილი ტრანზიციის დროს წარმართული ლექსებით, მიმანიშნებელი ბარათებით, ენერჯაიზერით, სიმღერებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუს საფუძველზე, აგრეთვე ყოველკვირეული გეგმებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაში, შემოქმედებითი თამაში, კვლევის ექსპერიმენტული თამაში, სენსორული თამაში, სამაგიდო თამაში, მოძრავი თამაში, მანიპულაციური თამაში, კონსტრუქციული თამაში, წესებიანი თამაში, აღნიშნული თამაშის ტიპები დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისია დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი თამაში 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში, მთლიანად ეფუძნება თამაშს, ბავშვებს აქვთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ თამაშებში ყოველდღიურად ჩართვის შესაძლებლობები, რაც ვლინდება ცაგერის 1 საბავშვო ბაღის დღის გეგმებში, აღმზრდელის ინტერვიუს საფუძველზე, ჯგუფის ფიზიკური გარემოს დათვალიერების დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით **ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 წ. N84 ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“**.

მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და/ან პირდაპირი შესყიდვის გზით. (ჩანაწერი მექანიზმიდან) საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბალების მიხედვით;
2. შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბალების მიხედვით;
3. შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში/ შესყიდვის განხორციელება;
4. შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა, შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბალების მიხედვით;
5. შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში, ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით);

ცაგერის 1 საბავშვო ბაღის დირექტორი ინტერვიუს დროს ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ერთხელ პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.



ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის იყენებენ საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტს.

ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიული გზები:

ა) მოგროვება;

მშობლებისა და პერსონალის მიერ მრავალფეროვანი რესურსის შეგროვება კურიკულუმის შესაბამისად;

ბ) დონაცია;

სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება;

გ) დამზადება;

საკუთარი ძალებით, ასევე მშობელთა მონაწილეობით მრავალგვარი მეორადი და ღია მასალებით რესურსის დამზადება;

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა მოქმედებს მექანიზმის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მექანიზმი იძლევა საშუალებას უზრუნველყოს ბაღი რესურსებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რაც მდგომარეობს შემდეგში: დაწესებულებამ წამოადგინა მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 წლის N 84 ბრძანება, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, რომელიც მოიცავს:

თითოეულ ჯგუფზე სახატავი საშუალებები არანაკლებ 3 განსხვავებული ზომის.

სხვადასხვა ზომის, ფორმის კუბები არანაკლებ 3. ველოსიპედი არანაკლებ 3 სხვადასხვა ზომის. ჯგუფური მუშაობის რესურსი არანაკლებ 7 განსხვავებული შინაარსის. ემოციების იდენტიფიცირების რესურსი არანაკლებ 2. როლური თამაშები არანაკლებ 4. დიდი ზომის ხის კუბები(ბლოკების)ნაკრები 1. ხის კუბურების ნაკრები 2. ხის და კორპის დაფები 2. ქაღალდი 5. მაკრატელი 1ც, 2 ბავშვზე.

არსებული ჩამონათვალი შერჩეული კურიკულუმის საგანმანათლებლო რესურსების ტიპებთან თანხვედრაშია.

ჩამონათვალი ვიზიტის დროს გადამოწმდა და გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ჩამონათვალი ადგილზე არ ფიქსირდება, ბაღის მიერ წარმოდგენილ ინვენტარიზაციის დოკუმენტში (2024წელი) არ ფიქსირდება სრულყოფილად. ინვენტარიზაციით არ დასტურდება რესურსების არსებობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მაგ: არ იკითხება შემდეგი: ქაღალდი 5. მაკრატელი 1ც, 2 ბავშვზე. სახატავი საშუალებები (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, საღებავები, პასტელი) ჭადრაკი, კარტი, მონოპოლი, ველოსიპედი.

2. საგანმანათლებლო რესურსი, წიგნების აღრიცხვის/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტი, რომელიც ადგილზე დათვალერებით გამოიკვეთა არის დაწესებულების ბალანსზე, რაც დასტურდება ბაღის სახელზე არსებული ინვენტარიზაციის დოკუმენტით (2024 წელი).

ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან გათვალისწინებით რესურსის საკმარისობა ვერ დადგინდა ბაღის მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის დოკუმენტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის შესაბამისი რესურსის არსებობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ: უზრუნველყოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის მუდმივად ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო პროცესში, კონკრეტულად, რაც განსაზღვრულია აქვთ (06.12.2024წ. N84 ბრძანება) „მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი.

მნიშვნელოვანია არსებული რესურსის ფლობა იკითხებოდეს ბაღის ინვენტარიზაციის დოკუმენტში(2024).

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულებაში იქნება კურიკულუმის შესაბამისი რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად გარემოს მოწყობისას გათვალისწინებულია სივრცის ხელმისაწვდომობა რათა დამოუკიდებლად შეძლონ ბავშვებმა მასალასთან წვდომა, ბავშვებში ცნობისმოყვარეობის, ინიციატივის, სოციალიზაციის წახალისება თამაშზე დაფუძნებული აქტივობების ჯგუფის წესების, ამინდის კალენდრის გამოყენებით არის გათვალისწინებული, ავეჯი საბავშვო ზომისაა, ფერები ნეიტრალური, ოთახები სხვადასხვა სივრცის ტიპებად არის დაყოფილი.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ჯგუფური ოთახების სივრცეში. ცენტრებში მისასვლელები არ არის ვიწრო, ავეჯი და აღჭურვილობა ადვილად არის ხელმისაწვდომი, სივრცეებზე არის დასახელებები მაგრამ მწირედ არის გამოხატული ვიზუალური ნახატ -სიმბოლოები ცენტრების შესაბამისად, ჯგუფის გარემო იძლევა ცვლილებების შეტანის საშუალებას, ჯგუფი ნაწილი დაყოფილია ცენტრებად: წიგნიერების,ხელოვნების, კუბურების, მეცნიერების,დრამატული თამაშების ცენტრი, წყნარი სივრცე.

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე .გარე სივრცის/ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, ეზოში გამოყოფილია ადგილები მოძრავი თამაშებისათვის, აქვთ სივრცე მხიარული სტარტებისთვის, მცირე სტადიონი ბურთის თამაშისთვის, „სახტომიალო“, ქოხი, სენსორული საქვიშე, ტალახის სამზარეულო, სახელოსნო სივრცე.

ეზოში გამოყოფილ სივრცეებს ვიზუალური მიმანიშნებელი/ სახელწოდებები არ აქვთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს:

- ა). უნივერსალური დიზაინის პრინციპის გათვალისწინებით ადაპტური გარემოს ორგანიზება კერძოდ ცენტრების სახელწოდებები, ვიზუალური მინიშნებები, როგორც ოთახის ასევე გარე /ეზოს სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობისას.
- ბ). სასკოლო მზაობის ჯგუფში აღმზრდელმა მეთოდისტთან შეთანხმებით ცენტრების შესაბამისი სახელწოდებით და ვიზუალური ნახატ/სიმბოლოებით აღჭურვოს სივრცეები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა და გარე სივრცის/ეზოს მოწყობა დაწესებულებაში გადანაწილებული და ორგანიზებულია ბავშვების მრავალფეროვანი გამოცდილების, სხვადახვა უნარების: მედეგობის, დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის განვითარების ხელშესაწყობად.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში სივრცეები გამოყოფილია შესაბამისი რესურსით, მუსიკის დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, საგანმანათლებლო რესურსი განლაგებულია ღიად ბავშვების სიმაღლეზე, რაც ხელს უწყობს მათი დამოუკიდებელი მოქმედებების შესაძლებლობას.

გარემო ასახავს კურიკულუმის მოთხოვნებს, ჯგუფის ერთობის, კვლევა აღმოჩენის, ბავშვის პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, სხვადასხვა განმავითარებელი ბუნებრივი და მეორე მასალა ორგანიზებულად არის განლაგებული შესაბამის ცენტრებში და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ღია თაროებზე.

ეზოში წარმოდგენილია: ბალანსისა და კოორდინაციისთვის განკუთვნილი საშუალებები, სასრიალო მოწყობილობა. ადგილი ბურთის თამაშისათვის, საქანელები, ტალახის სამზარეულო, ხის მორები, დრამატული სივრცე, საქვიშე. ბაღის ეზო მოწყობილია ფუნქციურ სივრცეებად, ბავშვებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილების შესათავაზებლად, საგანმანათლებლო რესურსი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ჯგუფში ასევე ეზოში, რაც ვლინდება ვიზუალური დათვალიერებით არსებული რესურსი განთავსებულია ბავშვის სიმაღლეზე, ღია თაროებზე. გარემოს ამგვარი ორგანიზება ზრდის ბავშვების დამოუკიდებლობის ხარისხს, აძლევს შესაძლებლობას თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება რა ტიპის რესურსით ითამაშონ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიური და პასიური, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, დასვენებისა და განმარტოებისთვის, რაც ბავშვს შესაძლებლობას აძლევს კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების მიხედვით შეძლოს მრავალფეროვან პროცესში ჩართულობა .

- აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კერძოდ ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად, თითოეული ცენტრი აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი მზა და ღია რესურსით. გარემოში წარმოდგენილია ცენტრები, მათემატიკის ცენტრი, დრამატული თამაშების ცენტრი, კუბურების ცენტრი , ხელოვნების ცენტრი, წიგნიერების ცენტრი, სადაც ბავშვებს წიგნების დათვალიერების სხვადასხავ ტიპის თამაშების წარმართვის შესაძლებლობა აქვთ.

- მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, კერძოდ ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის; ოთახი თემატურ ცენტრებადაა დაყოფილი, და ფართობი იძლევა დიდ ჯგუფებში მუშაობას ისე, რომ ავეჯის გადაადგილება არ არის საჭირო. ბაღში არის ასევე დარბაზი სენსორული თამაშებისთვის რომელიც აღჭურვილია ფორტეპიანოთი ,მუსიკალური მარაკასებით , სარიჩხინოებით, მინიატურული მუსიკალური ინსტრუმენტებით,
- დასვენებისა და განმარტოებისთვის ეს ვლინდება შემდგომში ყველა ასაკობრივ ჯგუფში არის წყნარი სივრცე გამოყოფილი , ფარდით , ბალიშით ფაზლით სადაც ბავშვებს შეუძლიათ არსებულ სივრცეში განმარტოება , მუსიკის მოსმენა, თამაში, რაც დასტურდება ჯგუფების ვიზუალური დათვალიერებით ფოტო/მასალით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს:

ა)დიდი ჯგუფური აქტივობის სივრცე შეიძლება განთავსდეს კუბურების ცენტრთან ახლოს, სადაც გაშლილია ხალიჩა. ჯგუფის ავეჯით ან სხვა საშუალებებით (ფარდები, ბუნებრივი და მეორადი მასალებით) შემოისაზღვროს სათამაშო სივრცეები და გაუკეთდეს საზღვრები, ვიზუალური მინიშნებები .

.....

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ცაგერის 1 საბავშვო ბაღის მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის დირექტორის N 84 ბრძანება (06 .12.2024 წ) „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი. მუხლი 8 ის 2 პუნქტი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდებს.

საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) მოკლე კიხვარები;

გ) ბავშვის შეფასება, რომელიც ივსება ორჯერ (დეკემბერი, ივნისი);

ბ) ჩეკლისტები - რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ხუთ სფეროს.

დაწესებულებაში შესწავლილი მტკიცებულებები ინტერვიუ, აღმზრდელის ობიექტური დაკვირვების ჩანაწერი, ჩეკლისტები, ბავშვის შეფასების ფორმები ადასტურებს რომ საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს 06.12.2024 წლის N 84 ბრძანება, მუხლი 8 ის 2 პუნქტის შესაბამისად ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რომ გამოიკვეთოს ბავშვის ინტერესები, პროგრესი განვითარების ხუთივე სფეროში.

დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი წესის მიხედვით:

ა) ობიექტური დაკვირვება;

ბ) ჩეკლისტები - რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ხუთ სფეროს;

გ) ბავშვის შეფასების ფორმა.

ბავშვის შეფასების და დაკვირვების ფორმები დაწესებულებას წესის შესაბამისად აქვს დამტკიცებული მართვის ცენტრის დირექტორის მიერ. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 წლის N 84 ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“, მარეგულირებელ წესს თან ახლავს აღნიშნული ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს: ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 06.12.2024 წ. N 84 ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით განსაზღვრავს ბავშვის ინტერესების საჭიროებების პროგრესის გამოვლენისთვის შემდეგი დოკუმენტაციის წარმოებას: ობიექტური დაკვირვების ჩანაწერს, ნამუშევრების პორტფოლიოს.

შეფასება ემსახურება:

ა) თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას;

ბ) თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას გ) თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას.

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვებზე დაკვირვების შეფასების ჩანაწერებში იკვეთება ბავშვების საჭიროებები პროგრესის გამოვლენა. შეფასება ემსახურება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, რაც დასტურდება, როგორც ინტერვიუს საფუძველზე აღმზრდელთან და საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელი, მუსიკის მასწავლებელი) ასევე საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი დოკუმენტაციის ჩამონათვალით: (ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო, მოკლევადიანი გეგმა, დღის განრიგი, აღმზრდელის პორტფოლიო, ასევე სხვა საგანმანათლებლო პერსონალის ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეც, პედაგოგი მუსიკის მასწავლებლის პორტფოლიო). აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ ბავშვის მიერ შექმნილ აპლიკაციაზე, ჯგუფურ სამუშაოზე, ინდივიდუალურ ნამუშევრებზე ასახოს მათი აზრის/ამბის თხრობის ჩანიშვნა სადაც გამოიკვეთება მათი ინტერესები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის მიერ შემუშავებული „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის 06.12.2024 წ. N84 ბრძანება

მუხლი.8 ბავშვის დაკვირვების და შეფასების მეთოდების, 8 პუნქტის-ის მიხედვით. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა). მოკლევადიან გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ). გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; გ). საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; დ). დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდულიზაციისთვის, რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმების შედგენაში და მის კორექტირებაში. ინდივიდუალური ადაპტირებული რესურსის უზრუნველყოფაში.

აღმზრდელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია მას სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება, რაც ბავშვებისათვის დღის საქმიანობების დაგეგმვასთან, მათი პროგრესის შეფასებასთან არის დაკავშირებულ რაც აღმზრდელს აძლევს შესაძლებლობას ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმოს მოდიფიცირება და გაითვალისწინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და მოკლევადიან გეგმაში გაწეროს მოდიფიცირების ჩანიშვნა ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების, საუკეთესო ინტერესების და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, მარეგულირებელი წესის შესაბამისად კერძოდ ინდივიდუალური შეხვედრებით.

ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება, როგორც ინტერვიუს საფუძველზე აღმზრდელთან, ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის მიერ შემუშავებული „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის (06.12.2024 წლის N 84 ბრძანება მუხლი.8 ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდების, მე-5 პუნქტი “დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: „გ“ პუნქტით „ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში; აღნიშნული პროცესი გაწერილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის N84 ბრძანება (06.12.2024წ.) „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების, და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფა;
2. ინვენტარიზაციის დოკუმენტი (2024);
3. აღმზრდელი პორტფოლიო;
4. საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
5. ბავშვის განვითარების ინდივიდუალური პორტფოლიო;
6. გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
7. საბავშვო მხატვრული და შემეცნებითი წიგნების აღრიცხვის/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტი;
8. დღის განრიგი;
9. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
2.2 კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა



1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა რაც თანხვედრაშია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ N 84 ბრძანება (06.12.2024), მუხლი: 2 საკვანძო საკითხებთან, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ახორციელებს კურიკულუმში ცვლილებას, მუხლი 2 ის მიხედვით კურიკულუმის შეფასება ეფუძნება :

- ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკის შეფასებას;
- ბ) საგანმანათლებლო რესურსის შეფასებას;
- გ) კურიკულუმის შესაბამისი ფიზიკური გარემოს შეფასებას;
- დ) ბავშვის რეგულარულ დაკვირვებას შეფასებას;
- ე) შეფასების საფუძველზე საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას ან ცვლილების განხორციელებას.

ყოველივე დასტურდება დირექტორთან, მეთოდისტთან, საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე და ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის “განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის” სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი 4. (20.02.2025) ის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებების მართვის ცენტრის კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესის (ბრძანება N 83, 05. 12. 2024წელი) მუხლი. 4 კურიკულუმის შეფასება და განვითარების მიხედვით.

1. კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.

2. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ.

3. კურიკულუმის შეფასებისთვის მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანების მიხედვით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რაც დასტირდება ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებების მართვის ცენტრის “განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის” სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 4.

შეფასების შედეგებს აანალიზებს დაწესებულება რაც ვლინდება/დასტურდება შემდეგში: დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს, ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებების მართვის ცენტრის კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესის (ბრძანება N 83 05. 12. 2024) მუხლი. 5 კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება მიხედვით.

1. კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები.

2. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი;

აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წესით და დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესის (N83 ბრძანება, 05. 12. 2024წელი) მუხლი :2 მუხლი. 4, მუხლი. 5,
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის “განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის” სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 4.
3. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
2.3 კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.

16. 09. 2024წლის N 58 ბრძანება დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს (მე-2 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი).



დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ცაგერის N 1 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2024 -2025 წ სადაც იკითხება მშობელთა აქტივობათა და განსახილველ საკითხთა ჩამონათვალი,პერიოდულობის მითითებით)

დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან თანამშრომლობას (მე-3 მუხლის მესამე პუნქტი) დაგეგმილი აქტივობები მოიცავს ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას (მე-3 მუხლის მესამე პუნქტი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება წაახალისებს თემის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში რაც ვლინდება შემდგომ აქტივობებში: ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. 16.09.2024 წლის N 58 ბრძანებით მუხლი3 სამიზნე აუდიტორიის შერჩევა .ჩართულობა ეხება დაწესებულების შიგნით და მის გარეთ განსახორციელებულ ღონისძიებებს. აღნიშნული ღონისძიებები გაწერილია ცაგერის N 1 ბაღის საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2024 -2025 წ, სადაც იკითხება თემაში არსებული რესურსის გამოყენება,მშობლების მიერ რესურსების მოზიდვა, აქტივობებში ჩართულობა, ბავშვების შეფასების პროცესში მონაწილეობა. აღნიშნული საკითხი იკვეთება ინტერვიუში, აღმზრდელთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ცაგერის N1 საბავშვო ბაღი იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას: კერძოდ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. 16.09.2024 წლის N 58 ბრძანებით .

მუხლი 3 სამიზნე აუდიტორიის შერჩევა (მუხლი 4 ის 1, 2, 3 პუნქტების შესაბამისად). სხვა დანარჩენი წარმომადგენს პირისპირ კომუნიკაციის შერჩეული არხები არის მრავალფეროვანი მუხლი 4 ის შესაბამისად . ყოველივე დასტურდება ბაღის საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუს საფუძველზე და N 58 ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. 16.09.2024 წლის N 58 ბრძანებით მუხლი: 2, მუხლი: 3 , მუხლი 4.
2. ცაგერის N 1 ბაღის საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2024 -2025 წ;
3. მოკლევადიანი გეგმები;
4. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
3.1 თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ცაგერის 1 საბავშვო ბაღი უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას „ ბავშვის უფლებების შესახებ“, ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, რაც დასტურდება ცაგერის N1 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში 2024-2025წ გაწერილი აქტივობებით, მართვის ცენტრს მჭიდრო ურთიერთობა აქვს მუნიციპალიტეტში არსებულ ააიპ „ქალთა და ბავშვთა უფლებებისა დ გენდერული თანასწორობის დაცვის ცენტრთან“ ერთობლივი თანამშრომლობით ცაგერის N1 საბავშვო ბაღში გეგმავს მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით პრეზენტაციების და ტრენინგების, პირისპის შეხვედრების, დაგეგმილი სემინარების ჩატარებას.

ა) ”ბავშვის უფლებების შესახებ”

ბ) ”ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ”

რაც დასტურდება, დაწესებულების დირექტორთან, მეთოდისტთან, აღმზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ცაგერის N1 საბავშვო ბაღი აწარმოებს ბავშვების შეფასებას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებელად უზრუნველყოფის წესის შესაბამისად 06.12.2024 წლის N85 ბრძანება მუხლი : 9 ის 1 ლი, 2-ე პუნქტების შესაბამისად.

აღმზრდელი შესაბამისი წესის მიხედვით წარმართავს ბავშვების დაკვირვებას, შეფასებას, მონაცემების შეგროვებას ბავშვის განვითარების მიმდინარეობისა და შეფასების შედეგების საჭიროებებზე რეაგირების შესახებ აცნობს ინდივიდუალურად ბავშვის მდგომარეობას მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მშობლის უკუკავშირს დაადასტურებს მისივე ხელმოწერით. აღნიშნული საკითხის განხორციელებაზე მზაობა იკვეთება ინტერვიუში აღმზრდელთან და საგანმანათლებლო პერსონალთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას, რაც დასტურდება ცაგერი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელი წესებულების მართვის ცენტრის საკომუნიკაციო გეგმით 16.09.2024 N 58 ბრძანება. დაწესებულების დირექტორის მიერ გაწერილ ცაგერის N 1 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმით 2024-2025 წ. წარმოდგენილ გეგმაში იკითხება შემდეგი : ტრანზიცია ლ. ასათიანის სახლმუზეუმში, გალერიაში, ბიბლიოთეკაში, სკოლაში სტომატოლოგთან, 112 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, თემში არსებული დაგეგმილი ტრანზიციები კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისად არის გაწერილი დაწესებულების მიერ, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალთან, მეთოდისტთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, კერძოდ, აღნიშნული ვლინდება **ცაგერი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელი წესებულების მართვის ცენტრის დირექტორის N58 ბრძანება დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ (16.09.2024წ) მუხლი: 6 დირექტორის მიერ გაწერილ“ ცაგერის N 1“ საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში**“
შეფასების შედეგებიდან გამომდინარე გამოვლენილია შემდეგი მიდგომა: დაწესებულების დირექტორთან, მეთოდისტთან, აღმზრდელებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა რომ :

ცაგერის N 1“ საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში“ განსახორციელებული აქტივობების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა, რაც შეიძლება განხორციელდეს დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის დროს, კერძოდ მშობელთა საერთო შეხვედრაზე (ინფორმაციის მიღება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე , მშობელთა წინადადებების და შენიშვნების ყუთის მიხედვით მათი ინტერესის გათვალისწინება და ა.შ)წამოჭრილ საკითხები შეიძლება გახდეს აქტივობის ცვლილების საფუძველი საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება განახორციელებს შესაბამის ცვლილებებს, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუებიდან.
დაწესებულების დირექტორთან ინტერვიუს საფუძველზე აგრეთვე გამოიკვეთა რომ გეგმავს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის შეფასებისათვის დაწესებულებამ უპასუხოს რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას:

- ა). შესრულდა თუ არა დაგეგმილი აქტივობები?
- ბ). როგორ შესრულდა?
- გ). საჭირო გახდა თუ არა ცვლილებების განხორციელება პროცესში?

დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს ფორმალურად გაიაზროს და ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები მშობელთა უკუკავშირისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელი წესებულების მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება N58 დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ (16.09.2024წ) მუხლი:6
2. ცაგერის N 1“ საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში“ (2024 -2025)
3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებელად უზრუნველყოფის წესის შესაბამისად N85 ბრძანება (06.12.2024) მუხლი: 9
4. მოკლევადიანი გეგმები.

შეფასება:			
3.2 თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოდგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია **სტრუქტურა/ორგანოგრამა**, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები, მაგრამ ეს ორგანოგრამა არ არის სრული, მასში არ არის დაწესებულების ყველა ერთეული/პირები გაწერილი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საშტატო ნუსხა, დასაქმების პოზიციებისა და ფუნქციების მითითებით, აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ბავშვებთან თანაფარდობა რაოდენობრივად არ შეესაბამება საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ დაცულ ნორმას.

დაწესებულების შინაგანაწესში (05.09.2024 წლის N50 ბრძანება “შრომის შინაგანაწესი”) და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (2.12.2024 წლის N82 ბრძანება), დოკუმენტში არ არის განსაზღვრული უფლებამოსილების გადანაწილებისა და შეთავსების საკითხები.

დაწესებულების შინაგანაწესში (05.09.2024 წლის N50 ბრძანება “შრომის შინაგანაწესი”) და პერსონალის მართვის დოკუმენტში (2.12.2024 წლის N82 ბრძანება), გაწერილია უფლებამოსილების საკითხები. წარმოდგენილ დოკუმენტებში დასტურდება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, რადგან საშტატო ნუსხითა და დანიშვნის ბრძანებით დაწესებულებას ჰყავს სპეც.პედაგოგი და ფსიქოლოგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სტრუქტურა/ორგანოგრამა მოიყვანოს სისრულეში და მასში ასახოს დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეული/პირები.

დაწესებულებამ უზრუნველყოს პროცესების უწყვეტი მიმდინარეობა, რაც იმას ნიშნავს რომ პროცესის განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული კონკრეტული თანამშრომლის დაწესებულებაში ყოფნაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია დაწესებულების შინაგანაწესში, პერსონალის მართვის დოკუმენტში იკვეთებოდეს უფლება-მოვალეობების გადანაწილების და შეთავსების საკითხები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულება სტრუქტურა/ორგანოგრამაში ასახავს ყველა სტრუქტურულ ერთეულს/პირებს. ასევე დაწესებულების შინაგანაწესსა და პერსონალის მართვის დოკუმენტში გაწერს უფლება - მოვალეობების გადანაწილებისა და შეთავსების საკითხს.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.
აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად შემუშავებული აქვს ორგანოგრამა, რომელიც სრულად არ ასახავს თანამდებობრივ დაქვემდებარებას, ასევე მასში არ არის ასახული საკონსულტაციო საბჭო და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. თუმცა დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ორგანიზაციის სტრუქტურის, თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირისთვის განსაზღვრული აქვს ფუნქცია-მოვლელობები, რომელშიც ასახულია, როგორც პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, ასევე შინაგანაწესში (05.09.2024 წლის N50 ბრძანება “შრომის შინაგანაწესი”)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დაწესებულების სტრუქტურის ორგანოგრამაში უნდა ასახოს საკონსულტაციო საბჭო, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და ყველა სტრუქტურული ერთეულები/პირები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულება შეიმუშავებს ორგანოგრამას, რომელშიც სრულად ასახული იქნება თანამდებობრივი დაქვემდებარება, საკონსულტაციო საბჭო და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.
აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.



3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **საბავშვო ბაღის მენეჯერის კვალიფიკაცია** შეესაბამება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 ნოემბრის N36 დადგენილ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოხოვნებს. **საბავშვო-ბაღის საგანმანათლებლო პერსონალს** გავლილი აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდული სამინისტროს მიერ შემუშავებული **აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული**. **ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ** 2025 წლის 26 მარტის N9 დადგენილებით დაამტკიცა – ცაგერის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურის მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების **პერსონალის პროფესიული სტანდარტები**. ამ კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება პერსონალის პირად საქმეებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



ცაგერის N1 საბავშვო ბაღში ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს გავლილი აქვს შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახ. საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი“-ს მიერ პროფესიული მომზადების ტრენინგ მოდული „პირველადი დახმარების სფეროში“ (სიმულაციებით), რაც დასტურდება სერტიფიკატებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია საგანმანათლებლო პერსონალის პოზიციაზე გამოცხადებულ ვაკანსიაში, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში, წინასწარ იყოს განსაზღვრული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის არსებობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.2 დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (“პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი” 2.12.2024 წლის N82 ბრძანება), ხელშეკრულებები და შინაგანაწესი (05.09.2024 წლის N50 ბრძანება “შრომის შინაგანაწესი”)



პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი დამტკიცებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის მიერ 2024 წლის 2 დეკემბერს N82 ბრძანებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ ადამიანური რესურსების დაგეგმვა;
- ✓ კვალიფიკაციური პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა და მართვა;
- ✓ პერსონალის შეფასება;
- ✓ პერსონალის განვითარება;
- ✓ საკადრო დოკუმენტაციის წარმოება.

პერსონალის მართვა ხორციელდება დადგენილი მარეგულირებელი დოკუმენტის, შინაგანაწესის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ რაც დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებით.

შინაგანაწესში იკითხება ასევე რომ ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე მართვის ცენტრის დაქვემდებარებაში შედის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, რომელსაც აქვს საკუთარი ბიუჯეტი და გამიჯნულია საბავშვო ბაღებისგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას საგანმანათლებლო პერსონალთან (დაწესებულებას ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 23/03/2025 წლის N9 დადგენილებით „ცაგერის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დებულების მიხედვით საგანმანათლებლო პერსონალს მიეკუთვნება – აღმზრდელ – პედაგოგი, საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალი და ბავშვთა ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი) აქვს ხელშეკრულებები, გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს, შესაბამისად არ მოიცავს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობების ჩამონათვალს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები უნდა მოიცავდეს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობათა ჩამონათვალს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N488 დადგენილებისა და ავტორიზაციის 4 სტანდარტის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულება საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაითვალისწინებს და გაწერს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობათა ჩამონათვალს.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით” (2.12.2024 წლის N82 ბრძანება). ამ დოკუმენტის მიხედვით მართვის ცენტრში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: **ობიექტურობა** (შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას) და **გამჭვირვალობა** (გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის).

დაწესებულებაში პირი მართვის ცენტრის პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება **პირდაპირი** დანიშვნის გზით.

პირდაპირი დანიშვნის გზით პერსონალის შერჩევის დროს, მართვის ცენტრი ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ. ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე, კანდიდატთან ტარდება **გასაუბრება**.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში” (2.12.2024 წლის N82 ბრძანება). გაწერილი მექანიზმებით უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას.

“პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში“ (2.12.2024 წლის N82 ბრძანება) **ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:**

- ა) ახალი თანამშრომლისთვის მართვის ცენტრის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
- ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
- გ) ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
- დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;
- ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
- ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და მართვის ცენტრში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;
- ზ) მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს მართვის ცენტრში;
- თ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია გუნდური და თანამშრომლობითი საქმიანობის პრინციპებზე. დაწესებულებას ღირებულებების ამსახველ დოკუმენტში შეტანილი აქვს „**გუნდურობი მუშაობის პრინციპები**“, როგორც საბავშვო ბაღის ორგანიზაციული კულტურის ნაწილი. ვიზიტის პროცესმა კი აჩვენა, რომ მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპს და ვლინდება იმაში, რომ დაწესებულებას აქვს **საერთო მისია, საერთო მიზანი**, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობას და დასახული მიზანების მიღწევას, ასევე



ვლინდება ერთოვლივად შემუშავებული რესურსებით, თვალსაჩინოებებით, ცოდნის გაზიარებითა და სამუშაო შეხვედრებით (თანამშრომელთა შეხვედრის ოქმები, ფოტომასალა).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4.1.3 დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, რაც დასტურდება ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის დირექტორის მიერ 02.12.2024 წლის N82 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმებს.

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საჭიროებათა მოკვლევას, რაც დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესით (02.12.2024, N82 ბრძანება, მუხლი 13). ცაგერის N1 საბავშვო ბაღის მენეჯერმა, ინტერვიუს დროს თქვა, რომ მის მიერ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით საჭიროებების მოკვლევა.

„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში“ გაწერილია შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპები:

დაგეგმვა, შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება და შეფასების ანალიზი, მაგრამ დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები აღნიშნული პროცესების განხორციელების დასადასტურებლად, ასევე წესში არ არის გაწერილი შეფასების და საჭიროებების მოკვლევის პერიოდულობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

შეფასების მექანიზმში განსაზღვრული უნდა იყოს : შეფასების სახე, შეფასების პერიოდი, შემფასებელი. დაწესებულებამ უნდა მოახდინოს პერსონალის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, პერსონალის საქმიანობის შეფასება უნდა ატარებდეს ფორმალურ სისტემატურ ხასიათს. დაწესებულებამ უნდა მოახდინოს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რის შედეგებსაც უნდა იყენებდეს პერსონალის შემდგომი განვითარებისათვის.

ეს კონკრეტული აქტივობები უნდა დაადასტუროს შესაბამისი მტკიცებულებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულება შეფასების მექანიზმში განსაზღვრავს შეფასების სახეს, პერიოდსა და შემფასებელს. ასევე დაწესებულება მოახდენს პერსონალის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებების მოკვლევის ანალიზი, შესაბამისად ვერ ახორციელებს პერსონალის განვითარებას პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით (02.12.2024, ბრძანება N82). თუმცა ცაგერის N1 საბავშვო ბაღის

ერთწლიანი სამოქმედო გეგმით (16.09.2024 წლის N59 ბრძანება) გაწერილია აქტივობები საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს პერსონალის განვითარების გეგმა. ის შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებელი სახით ან ინტეგრირებული იყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. გეგმა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ბიუჯეტით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულება შეიმუშავებს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმას.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2024 წლის N82 ბრძანებით „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“. მასში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია მართვის ცენტრი მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.

თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებას არ აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის საჭიროებების მოკვლევისა და დაწესებულების მხრიდან დაგეგმილი ტრენინგების გარდა აუცილებელია გაითვალისწინოს თანამშრომელთა ინიციატივენი და სურვილები, რომელიც აუცილებლად თანხვედრაში უნდა იყოს სამუშაო აღწერილობასთან და ფუნქცია-მოვალეობასთან.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულება პერსონალის საჭიროებების მოკვლევისა და მისი მხრიდან დაგეგმილი ტრენინგების გარდა გაითვალისწინებს თანამშრომელთა ინიციატივებსა და სურვილებს.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“ 20.12.2024წ. N88 ბრძანება;
2. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ 2.12.2024წ. N82 ბრძანება;
3. შრომის შინაგანაწესი (05.09.2024წ. N50 ბრძანება);
4. ორგანოგრამა;
5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 მარტის N9 დადგენილება _ ცაგერის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურის მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების პერსონალის პროფესიული სტანდარტები;
6. სერტიფიკატი _ პირველადი დახმარების სფეროში;
7. ინტერვიუს შედეგები;
8. ფოტომასალა;

9. ცაგერის N1 საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმა (16.09.2024წ. N59 ბრძანება).

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2 პროცესების მართვა

4.2.1 დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტით _ა(ა)იკ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის დირექტორს მიერ შემუშავებული და 2024 წლის 20.12 ბრძანება N88 დამტკიცებული „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“.

მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა.

ძირითადი პროცესებია :

- ✓ კურიკულუმის შერჩევა, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
- ✓ ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა);
- ✓ სსსმ ბავშვების მომსახურება;
- ✓ ოჯახთან და თემთან ურთიერთობა.

დამხმარე პროცესებია:

- ✓ ადამიანური რესურსების მართვა;



- ✓ მატერიალური რესურსის მართვა;
- ✓ საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
- ✓ პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ციკლი მოიცავს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გადახედვის ეტაპებს. დაწესებულებაში ვიზიტის, დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუების შედეგად ვლინდება, რომ დაწესებულებაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხარისხის ციკლის პირველი და მეორე ეტაპი – დაგეგმვა – განხორციელება. დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის გამართვისთვის გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი – **ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი**, რომელსაც ევალება – დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირება და აღმწერების განსაზღვრა; დაწესებულების პროცესებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; წლიური მონიტორინგის გეგმის შედგენა და გაცნობა დაწესებულების პერსონალთან, მონიტორინგის განხორციელება და პროცესების მიმდინარეობის ხარისხის შეფასება, ანგარიშგება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი და დამტკიცებული აქვს ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი.

ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის პროცესი განხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად რაც დასტურდება - ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი _ 22.11.2024.წლის N81 ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი ბრძანება N82, 2.12.2024) აქვს პირადი საქმეების წარმოებისთვის დადგენილი წესი, რომელიც არეგულირებს ბავშვებისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას.

დაწესებულებას აქვს პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი, რომელიც **გაწერილია პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში მუხლი 16 – თანამშრომელთა პირადი საქმეები.**

დაწესებულების პერსონალთა პირადი საქმეები მოიცავდა იმ სავალდებულო დოკუმენტებს რომელიც გაწერილია **პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში:**

- ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია – ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
- ბ) რეზიუმე;
- გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი;
- დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
- ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
- თ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
- ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

ბავშვის პირადი საქმეების სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება რეგისტრაციის წესით. ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის დირექტორის 22.11.2024 წლის ბრძანება N81-ით დამტკიცებული **ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის** შესაბამისად აწარმოებს ბავშვების პირადი საქმეებს.

ბავშვის პირადი საქმეების მოიცავს:

- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება საბავშვო ბაღის მენეჯერის სახელზე;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
- ბავშვის 2 ფოტოსურათი 3x4;



- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაციას,
- მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლს;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტას;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);
- ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ინფორმაცია ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ;
- საბავშვო ბაღის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას კი ახორციელებს მართვის ცენტრი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“, 20.12.2024წ. N88 ბრძანება;
2. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ 2.12.2024წ. N82 ბრძანება;
3. ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი – 22.11.2024წ. N81 ბრძანება;
4. პერსონალის პირადი საქმეები

5. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
4.2. პროცესების მართვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3 მატერიალური რესურსი

4.3.1 დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3. მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1 დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას



აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებლად – დაწესებულებაში არის სამედიცინო სივრცე, პირველადი გადაუდებელი დახმარების პასუხისმგებელ პირებად გათვალისწინებულია ექთანი, აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე, რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგი – პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა სიმულაციური წვრთნებით.

დაწესებულებას აქვს საგანგებო მართვის გეგმა რომელიც შეესაბამება „საგანგებო მართვის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მეხანიზმების, რეაგირების, პროცედურების გაწერა. ასევე გაწერილი აქტივობების მითითებულ დროში განხორციელება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მენეჯერს აქვს ჟურნალი, სადაც გაწერილია მის ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები. დაწესებულების მენეჯერმა აღნიშნა რომ არ ჰყავს შესაბამისი კომპეტენტური კადრი, რომელიც აღწერს მცენარეების უსაფრთხოებას და მის მახასიათებლებს, ამიტომ მცენარეების აღწერას საბავშვო ბაღში უზრუნველყოფს დეკორატორი.

ინტერვიუს დროს ბაღის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების მახასიათებლების შესახებ მოიპოვებს ინტერნეტის საშუალებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებაში მცენარეების აღწერა რეკომენდირებულია განხორციელდეს კომპეტენტური პირის მიერ. არსებული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მცენარეების პერსონალისა და ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას მიღებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი გაუვნებლობის ზომები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულება მოხდენს მცენარეების აღწერას მოახდინოს კომპეტენტური პირის მიერ.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულას აქვს მშობლის წერილობითი ნებართვა (დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე, ფოტო-ვიდეო გადაღებაზე და საჯაროობაზე) წერილობითი ფორმით, სადაც მშობელი ხელისმოწერით ადასტურებს ბავშვის დაწესებულებიდან გაყვანის ნებართვას.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის ბაღის ტერიტორიიდან გაყვანისას წინასწარ გეგმავენ პასუხისმგებელ პირებს, იღებენ წერილობით ნებართვას მშობლებისგან, თუმცა კონკრეტული უსაფრთხოების წესები გაწერილი არ აქვთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.



რეკომენდაცია

დაწესებულებამ ბავშვების უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეიმუშაოს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის წესები და პროცედურები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში დაწესებულება ბავშვების უსაფრთხოების დაცვის მიზნით სრულად შეიმუშავებს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის წესებსა და პროცედურებს.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.6.2 დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია - ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების გარემო ნაწილობრივ პროგნოზირებადია ბავშვისთვის, რაც დასტურდება დაწესებულებაში არსებული მწირი ვიზუალური მიმანიშნებლებით.

ბავშვისთვის დღის განრიგისა და დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დასტურდება მოკლევადიან გეგმაში გაწერილი აქტივობებით და აღმზრდელის ჩანაწერებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შექმნას და ბავშვების სიმაღლეზე განათავსოს დასურათებული დღის განრიგი, რათა ბავშვებმა დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენების და საქმიანობის მონაცვლეობას მიაღწეონ თვალი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მართვის ცენტრს მჭიდრო ურთიერთობა აქვს მუნიციპალიტეტში არსებულ ა(ა)იპ ქალთა და ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვის ცენტრთან, ერთობლივი თანამშრომლობით ყველა საბავშვო ბაღში და მათ შორის ცაგერის N1 საბავშვო ბაღში ჩატარდა პრეზენტაციები ბავშვთა და ოჯახური ძალადობის თემებზე. აქედან გამომდინარე დაწესებულების პერსონალს აქვს ინფორმაცია ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვაზე და საქმიანობის წარმართვის პროცესში მონაწილეობაზე.

დაწესებულების მხრიდან ბავშვთა უფლებების დაცვა აისახება მისი ფორმულირებაში . მაგ: „აღსაზრდელების უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და თითოეული ბავშვისადმი თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი განათლების მიწოდება, მათი შემეცნებითი, სენსორული, ეთნიკური თუ სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით“.

ბავშვების უფლებები ვლინდება კურიკულუმით დაგეგმილი საქმიანობების წარმართვის პროცესში _ თამაშში, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტიურ და პასიურ აქტივობებში, სადაც გათვალისწინებულია თითოეული ბავშვის ინტერესები და შესაძლებლობები.

ოჯახისა და თემის ჩართულობა: დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებულობას და მათ ჩართულობას ბავშვთა უფლებების შესახებ, რაც დასტურდება ცაგერის N1 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმით . მასში დაგეგმილია აქტივობა მშობელთა საერთო კრებაზე მენეჯერის მიერ ბავშვთა უფლებების კოდექსის გაცნობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის. რაც დასტურდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 18.11.2024 წლის N78 ბრძანებით.

დაწესებულებას იდენტიფიცირებული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, აღნიშნული პირი ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 79, თარიღი: 18.11.2024) არის უფლებამოსილი .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გაწერილი აქვს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის აქტივობები.

ცაგერის N1 საბავშვო ბაღის 2024-2025 საკომუნიკაციო გეგმაში დაგეგმილია მშობლებთან შეხვედრა ტრანზიციის პერიოდში, ბაღის გარემოსა და ჯგუფის ოთახების გაცნობა ფუნქციების მიხედვით.

დაწესებულება ახორციელებს ბავშვის მცირე ტრანზიციების ხელშეწყობის აქტივობებს, რაც დასტურდება საბავშვო ბაღში არსებული ვიზუალური ბარათებით, სიმღერებით, გათვლებით და თამაშებით.

დაწესებულების დირექტორთან და მეთოდისტთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა პროცესის მიმდინარეობა _ ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის ხელშეწყობის აქტივობებით. კერძოდ, მშობლისა და ბავშვის წინასწარი ვიზიტი ბაღში, გარემოს დათვალიერება და ასევე თემში გაყვანის დროს ახლომდებარე სკოლაში დაგეგმილი ვიზიტი, სკოლის გარემოს გაცნობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს ეფექტური მექანიზმი და კარგი პრაქტიკა ბავშვების ბაღთან ტრანზიციასთან, ადაპტაციასთან დაკავშირებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე. ნებართვაზე ხელმოწერით დაადასტურებენ მშობლები თანხმობას.

ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის

ბრძანებით (21.05.2024წ. N28 (პ) ბრძანება) დანიშნულია პერსონალურ მონაცემთა ოფიცერი. მაგრამ დაწესებულებას პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი გაწერილი არ აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და დაამტკიცოს ბრძანებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი სერტიფიკატები;
2. მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა (დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე, ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე);
3. დღის განრიგი;
4. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი (18.11.2024წ. N78, ბრძანება);
5. რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ მართვის ცენტრის დირექტორის N79 ბრძანება;
6. 21.05.2024 წლის ბრძანება N28(პ) – პერსონალური მონაცემთა ოფიცრის განსაზღვრის შესახებ;
7. ცაგერის N1 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2024-2025 წელი;



8. ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.7 ფინანსური რესურსი

4.7.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსი (საკუთარი), რაც დასტურდება ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებული ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულების 2025 წლის ბიუჯეტით.

ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის ფინანსური წყაროებია:

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
2. შემოწირულობებით, სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობით და გრანტებით.

ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას (ყველა აქტივობის შესაბამისად) .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნასთან შესაბამისობის აღწერა

ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლადავლი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებების მართვის ცენტრი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ბიუჯეტი ნაწილდება შემდეგნაირად: შრომის ანაზღაურება, თანამდებობრივი სარგო, საქონელი და მომსახურება, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინება, ოფისის ხარჯი, კვების ხარჯი, სოციალური, არაფინანსური აქტივების ზრდა.

დაწესებულების ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული განსაზღვრული რაოდენობის ფინანსურ რესურსი მის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის განხორციელების უზრუნველყოფისთვის.

კურიკულუმის მიზნების განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსის ხარჯები არ არის ცალკე მუხლად ასახული. სხვა ხარჯები მოიაზრებს რესურსის ხარჯებს სხვა ხარჯებთან ერთად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დამტკიცებული კურიკულუმით გათვალისწინებული საჭიროებების შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტში საკმარისი ფინანსური რესურსი. ბიუჯეტის ხარჯვის ეს ნაწილი უნდა დადასტურდეს შესყიდვების დოკუმენტაციით, ინვენტარიზაციის აქტით ან სხვა შესაბამისი მეთოდებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

